ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. მაისის 20 № 10 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

39. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

40. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

39. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ორგანოების რეორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. შეუერთდეს საქართველოს კინოფიკაციის არსებული ტრესტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს.

2. გაერთიანდეს აფხაზეთის და აჭარის ასს რესპუბლიკებში, აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში არსებული კინოფიკაციის ტრესტები აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოებთან.

3. კინოფიკაციის ტრესტების გაერთიანება კინოფიკაციის სამმართველოებთან, ამ დადგენილების 1 და 2 მუხ. თანახმად, მოხდეს 1940 წლის 1 იანვრის ბალანსის მიხედვით.

4. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს წინადადება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან კინოფიკაციის სამმართველოს სარაიონთაშორისო განყოფილებათა ორგანიზაციის შესახებ, თანახმად დანართისა.

5. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს, ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული და ავტონომიური ოლქის კინოფიკაციის სამმართველოების, აგრეთვე სარაიონთაშორისო განყოფილებათა მუშაობა აგებულ უნდა იქნას სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძვლებზე.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს შეიტანოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს 1940 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმაში სათანადო ცვლილებანი, რომლებიც ამ დადგენილებიდან გამომდინარეობენ.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 26. № 729.
თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს დებულება, რაც შეთანხმებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტთან.

2. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებს და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოსთან შეთანხმებით ერთი დეკადის ვადაში დაამტკიცონ დებულება აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან და მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულებანი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ, რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილებით (დადგ. კრ. 1938 წ. № 8, მუხ. 45). აგრეთვე დებულებანი აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოების შესახებ, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 23 აპრილის №№ 723, 724 და 725 დადგენილებებით.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ვ. ბაქრაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილის 26. № 730.
თბილისი.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს შესახებ.

I. საერთო დებულებანი

1. საქართველოს სსრ სახალხო კომასართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის ორგანოს.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო ანხორციელებს საქართველოს სსრ კინოფიკაციის უშუალო ხელმძღვანელობას, შეიმუშავებს და გაატარებს საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახელმწიფო, პროფკავშირული და უწყებრივი კინოქსელის განვითარების, ექსპლოატაციისა და მისი მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხელმძღვანელობას უწევს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ყველა საქალაქო და სასოფლო კინოდანადგარებისა და დამხმარე საწარმოების მუშაობას სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის და კინოფიკაციის მისი მთავარი სამმართველოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო წარმოადგენს სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულს, სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით და ანხორციელებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს იმ გეგმების მიხედვით, რომლებიც შედგენილია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მითითებებისა და საკონტროლო ციფრების შესაბამისად, და რომლებსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

4. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს აქვს საწესდებო, საამორტიზაციო და კანონით დაწესებული სხვა ფონდები, აგრეთვე დამოუკიდებელი ბალანსი იმ ოპერაციებისათვის, რომლებსაც იგი ანხორციელებს, და ნაკრები ბალანსი კინოფიკაციის მისდამი დაქვემდებარებული განყოფილებების, კინოდანადგარებისა და დამხმარე საწარმოების ხაზით.

სამეურნეო ოპერაციების უზრუნველსაყოფად და ძირითადი და საბრუნავი სახსრების მისაცემად — კინოფიკაციის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ საწარმოებს (კინოდანადგარებს) გამოეყოფათ სათანადო სახსრები, რომლებიც აღირიცხება კინოფიკაციის სამმართველოს ბალანსზე.

5. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო, მისი კინოდანადგარები (კინოფიკაციის სამმართველოს მიერ დამტკიცებული სიის მიხედვით) და დამხმარე საწარმოები ხსნიან ბანკებში საანგარიშსწორებო და კანონით გათვალისწინებულ სხვა ანგარიშებს, რომელთა მიხედვითაც აწარმოებენ ყოველგვარ ფულად ოპერაციებს, რაც დაწესებულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

6. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო სარგებლობს კრედიტით და ყოველგვარი სხვა სახის საბანკო მომსახურეობით.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ცენტრალური აპარატის შენახვის საექსპლოატაციო და ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯები გაიწევა გასავლის საერთო ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში კინოფიკაციის სამმართველოს საფინანსო გეგმით, რომელიც დამტკიცებული იქნება დადგენილი წესით.

8. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს დანიშნავს და სამუშაოდან გაანთავისუფლებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს ბუხჰალტერს დანიშნავს და დაითხოვს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი კინოფიკაციის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით.

9. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის, და ამ უკანასკნელის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე საქართველოს სს რესპუბლიკაში კინოფიკაციის მდგომარეობისა და განვითარებისათვის, აგრეთვე მთელი კინოქსელის ექსპლოატაციისათვის.

10. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და დაწესებულების სახელწოდება.

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს თავისი ადგილსამყოფელი აქვს ქალაქ თბილისში.

II. ამოცანები, ფუნქციები და უფლებები

12. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო:

ა) უზრუნველჰყოფს პარტიისა და მთავრობის მიერ კინოფიკაციის საკითხებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ანხორციელებს სახელმწიფო, პროფკავშირული და უწყებრივი კინოქსელის და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული დამხმარე საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი ხელმძღვანელობას და კონტროლს;

გ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის მითითებათა და საკონტროლო ციფრების შესაბამისად, შეიმუშავებს საქართველოს სსრ მთელი კინოქსელის განვითარებისა და ექსპლოატაციის გეგმებს და მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ამ გეგმებს დაამტკიცებს—წარუდგენს მათ კინოფიკაციის ზემდგომ ორგანოს;

დ) შეიმუშავებს და განახორციელებს კინოჩვენების ხარისხის და მაყურებელთა კულტურული მომსახურეობის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

ე) ანხორციელებს მთელი კინოქსელის ტექნიკურ ხელმძღვანელობასა და ინსტრუქტაჟს, კინოდანადგარების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლს, კინოქსელის მუშაობაში ნერგავს უახლეს გაუმჯობესებებსა და კინოტექნიკის მიღწევებს, ანხორციელებს კინოქსელის ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებებს და ხელს უწყობს რაციონალიზატორულ და საგამომგონებლო მუშაობას;

ვ) აწარმოებს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ყოველგვარი სახის კინოდანადგარის აღრიცხვასა და პასპორტიზაციას, იძლევა ყველა კინოდანადგარის მოწყობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის ნებართვებს, აგრეთვე დახურავს მომქმედ კინოდანადგარებს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მათი ტექნიკური მდგომარეობა არ შეესაბამება ექსპლოატაციის წესებს ან თუ დარღვეულ იქნა დაწესებული ნორმები და დებულებანი;

ზ) შეიმუშავებს და განახორციელებს კინოთეატრებისა და მთელი კინოქსელის კინოთეატრალური სადგომების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და რემონტის ღონისძიებებს, ადგენს კაპიტალური მშენებლობის პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს მომქედი კანონმდებლობის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის და ამ უკანასკნელის კინოფიკაციის მთავარი სამმართველოს ბრძანებათა და ინსტრუქციათა შესაბამისად, ანხორციელებს მოწყობილობის გეგმიან-გამაფრთხილებელ რემონტსა და პასპორტიზაციას;

თ) შეიმუშავებს მთელი კინოქსელის მუშაკთა შრომისა და ხელფასის ორგანიზაციის ღონისძიებებს, ყოველნაირად ნერგავს შრომის სოციალისტურ ფორმებს — სოციალისტურ შეჯიბრს, დამკვრელობასა და სტახანოვურ მოძრაობას კინოქსელის მუშაკებს შორის;

ი) შეადგენს ანგარიშებსა და მიმოხილვებს საქართველოს სსრ მთელი კინოქსელის მუშაობის შესახებ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტისა და სსრ კავშირის სახელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო საგეგმო კომისიის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით;

კ) ანხორციელებს მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებულ განყოფილებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსიურ კონტროლსა და დოკუმენტალურ რევიზიებს, ამტკიცებს მათს წლიურ ანგარიშებს და ურდგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის კინოფიკაციის მთავარ სამმართველოს ნაკრებ საბუხჰალტრო ანგარიშებს, ხოლო მათ ასლებს — საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს, სათანადო ბანკს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს;

ლ) სახელმწიფო პროფკავშირულ და უწყებრივ კინოქსელს და კინოფიკაციის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დამხმარე საწარმოებს ამარაგებს კინომასალებითა და მოწყობილობით; ანაწილებს კინომოწყობილობის, კინოხელსაწყოებისა და სხვა მასალების ფონდებს, რომლებსაც სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტი გამოყოფს კინოქსელისათვის: ანაწილებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდებს, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო გამოყოფს ექსპლოატაციისა და კინოქსელის კაპიტალური მშენებლობის საჭიროებისათვის;

მ) ატარებს კინოქსელისათვის საჭირო კინომექანიკოსთა, კინოტექნიკოსთა და სხვა მუშაკთა კადრების მომზადებისა და გადამზადების ღონისძიებებს, ამოწმებს კინომექანიკოსთა და კინოტექნიკოსთა კვალიფიკაციას და აძლევს მათ ატესტაციას დადგენილი წესით; ანხორციელებს კინოქსელის კადრების აღრიცხვასა და განაწილებას;

ნ) ხელმძღვანელობას უწევს კინოთეატრებისა და მოძრავი კინოების კულტურულ-მასობრივ მუშაობას;

ო) ამტკიცებს კინოდანადგარების სარეპერტუარო გეგმებს, რომლებსაც „გლავკინოპროკატის“ კონტორის ადგილობრივი ორგანოები ადგენენ, და ამ უკანასკნელებთან ერთად შეიმუშავებს ღონისძიებებს საქართველოს სსრ კინოქსელის უკეთესი ფილმმომარაგებისათვის;

პ) გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც სავალდებულოა ყველა კინოდანადგარებისათვის, მათი უწყებრივი ქვემდებარეობისაგან დამოუკიდებლად;

რ) აძლევს მითითებებს კინოდანადგარებს, აგრეთვე იმ უწყებებსა და ორგანიზაციებს, რომლებსაც კინოდანადგარები აქვთ, წარდგინებით მიმართავს სათანადო ინსტანციებს უწყებათა და ორგანიზაციათა იმ გადაწყვეტილებების გაუქმების შესახებ, რომლებიც ამ მითითებებს ეწინააღმდეგებიან;

ს) მოითხოვს გეგმების წარმოდგენას და ღებულობს გეგმებსა და საანგარიშო მონაცემებს საქართველოს სსრ ყველა უწყებისა და ორგანიზაციის კინოდანადგარების მუშაობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტ) იწვევს კინოქსელის მუშაკთა თათბირებსა და კონფერენციებს;

უ) ატარებს ყველა უწყებისა და ორგანიზაციის კინოდანადგარების მუშაობის გამოკვლევას.

13. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი, ერთმმართველობის საფუძველზე, ანხორციელებს კინოფიკაციის სამმართველოზე დაკისრებული ამოცანებიდან გამომდინარე ყველა მოვალეობას, პირადად ანხორციელებს კონტროლის ფუნქციებს, გამოდის კინოფიკაციის სამმართველოს წარმომადგენლად ისე რომ მას საამისოდ არ სჭირდება განსაკუთრებული მინდობილობის წარდგენა, კანონით დაწესებული და დამტკიცებული გეგმის ფარგლებში განაგებს კინოფიკაციის სამმართველოს მთელ სახსრებსა და ქონებას და კინოფიკაციის სამმართველოს სახელით ასრულებს ყოველგვარ ოპერაციებს მათ შორის საკრედიტო ოპერაციებსაც, აგრეთვე სდებს გარიგებებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც კინოფიკაციის სამმართველოს გამგებლობის ფუნქციებში შედის.

კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს უფლება აქვს თავისი ცალკეული რწმუნებანი მიანდოს სხვა პირებს, ამასთან მას ეკისრება პასუხისმგებლობა უკანასკნელთა მოქმედების სისწორისათვის.

14. კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს, კერძოდ, ეკისრება:

ა) საექსპლოატაციო-საფინანსო გეგმების, აგრეთვე სახელმწიფო პროფკავშირული და უწყებრივი კინოქსელის კინოდანადგარების მუშაობის შესახებ ანგარიშების შედგენა და მათი წარდგენა სათანადო დამტკიცებისათვის;

ბ) მისდამი დაქვემდებარებული სარაიონთაშორისო და რაიონულ განყოფილებათა და დამხმარე ორგანიზაციათა საექსპლოატაციო-საფინანსო გეგმების, აგრეთვე ბალანსებისა და ანგარიშების დამტკიცება და ამ გეგმების შესრულებისათვის კონტროლის გაწევა;

გ) ეკონომიის მტკიცე რეჟიმის დანერგვისა და საფინანსო დისციპლინის დაცვის ღონისძიებათა გატარება;

დ) კინოფიკაციის სამმართველოს შემადგენლობაში შემავალი რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებების, კინოდანადგარებისა და სხვა საწარმოების დებულებათა დამტკიცება;

ე) აღრიცხვისა და ანგარიშგების დაწესებული სისტემის ორგანიზაცია კინოფიკაციის სამმართველოში, მის რაიონულ და სარაიონთაშორისო განყოფილებებში და სასაწყობო მეურნეობის სათანადოდ დაყენება;

ვ) მისდამი დაქვემდებარებულ განყოფილებათა, კინოდანადგართა და სხვა საწარმოთა დოკუმენტალური რევიზიების მოწყობა და საფინანსო კონტროლის განხორციელება;

ზ) ყოველგვარი ქონების დაქირავება და იჯარით გაცემა, შეძენა და გასხვისება, კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) შრომის ხელშეკრულებათა და სატარიფო შეთანხმებათა დადება, მუშათა და მოსამსახურეთა მიღება და დათხოვნა;

ი) საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშების გახსნა სახელმწიფო ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში, ვალდებულებათა გაცემა და გასანაღდებლად მიღება და საკრედიტო ოპერაციების შესრულება მოქმედი კანონების შესაბამისად;

კ) კინოფიკაციის სამმართველოს ამოცანების განსახორციელებლად საჭირო გაჯრიგებათა, აქტებისა და ხელშეკრულებათა დადება, მინდობილობათა გაცემა;

ლ) სასამართლოსა და სახელმწიფო არბიტრაჟში მაძიებლად და მოპასუხედ გამოსვლის უფლება, აგრეთვე წარმომადგენლობა ყველა ადმინისტრატიულ, პროფესიულ და საზოგადოებრივ დაწესებულებაში.

15. კინოფიკაციის სამმართველოსაგან გასული ქაღალდების ხელმოწერის წესს ადგენს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი. ყოველგვარ ხელშეკრულებებს, ვალდებულებებს, ჩეკებსა და მინდობილობებს ხელს აწერს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი საამისო განსაკუთრებული მინდობილობის გარეშე ან სხვა პირები, კინოფიკაციის სამმართველოს უფროსის მიერ გაცემულ სათანადო მინდობილობათა თანახმად.

ფულადი, მატერიალური, ქონებრივი, საანგარიშო და საკრედიტო ხასიათის ყველა დოკუმენტს, რომლებიც ფულის გაცემისა და მიღების საფუძველს წარმოადგენენ, აგრეთვე დოკუმენტებს, რომლებიც საბუხჰალტრო ჩანაწერების წარმოების საფუძველს წარმოადგენენ, ხელს აწერს მთავარი ბუხჰალტერი ან ის პირი, რომელსაც საამისო რწმუნება აქვს. ანგარიშებსა და ბალანსებს ხელს აწერს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე და კინოფიკაციის სამმართველოს მთავარი ბუხჰალტერი.

16. კინოფიკაციის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს ეკისრებათ დისციპლინარული, სისხლის სამართლისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობა საექსპლოატაციო და საფინანსო გეგმების შესრულებისათვის, საგეგმო საფინანსო, სახელშეკრულებო და შრომის დისციპლინის დაცვისათვის, მინდობილი ქონების მთლიანობისა და საქმის მეურნეობრივად გაძღოლისათვის.

III. კინოფიკაციის სამმართველოს ანგარიში და მისი საქმიანობის გამოკვლევა

17. მიმდინარე ანგარიშგების გარდა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი საოპერაციო წლის დამთავრების შემდეგ დასამტკიცებლად არდგენს წლიურ ანგარიშს დაწესებული მოცულობით.

18. დაგროვებისა და ზარალის ოდენობის გამორკვევა, დაგროვების განაწილება და დაგროვებიდან სპეციალურ ფონდებში, სახელმწიფოს შემოსავალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ზარალის დასაფარავად ანარიცხების დაწესება, აგრეთვე სპეციალური ფონდების ხარჯვა სწარმოებს კანონით დადგენილი წესების დაცვით.

19. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველოს საქმიანობის გამოკვლევას, საფინანსო კონტროლსა და დოკუმენტალურ რევიზიებს ანხორციელებს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი მოვალეა წარუდგინოს კონტროლის გამწევ ორგანოებს განსახილველად მთელი გეგმები, წიგნები და დოკუმენტები, საქმეები, მიწერ-მოწერა და ყოველგვარი დახმარება გაუწიოს მათ კინოფიკაციის სამმართველოს საქმიანობის რევიზიისა და გამოკვლევის დროს.

IV. კინოფიკაციის სამმართველოს სტრუქტურა

20. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოს აქვს რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებანი, რომლებიც სარგებლობენ სრული სამეურნეო ანგარიშის უფლებებით და მოქმედებენ იმ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო ამტკიცებს.

21. განყოფილებების, კინოდანადგარებისა და კინოფიკაციის სამმართველოსადმი დაქვემდებარებული სხვა საწარმოების უშუალო ხელმძღვანელობას ანხორციელებენ უფროსები (დირექტორები), რომლებსაც ნიშნავს და სამსახურიდან ითხოვს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსი და რომლებიც მოქმედებენ ერთმმართველობის საფუძველზე, მათთვის დამტკიცებულ დებულებათა ფარგლებში.

22. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინოფიკაციის სამმართველო სამეურნეო, საინჟენერო, ტექნიკურ მუშაკთა და კინოქსელის მუშაკთა, აგრეთვე სტახანოველ მუშათა გამოცდილების გამოყენების მიზნით და კრიტიკისა და თვითკრიტიკის გასაშლელად პერიოდულად იწვევს კინოფიკაციის სამმართველოს აქტივს, რომელზედაც განხილული და მოსმენილი იქნება მოხსენებანი პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელ მითითებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Создать поселки и распоряжен. Правительства Груз. ССР

15255

ეროვნული ბიბლიოთეკა

П.584/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ

მ ი ს ა მ ა რ თ ი ს ა თ ვ ი ს

ფასი 40 კაპ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი, „კომუნისტი“, თბილისი,
ლენინის ქ. № 28

მთავლიტის რწმუნებულის № ბ—1747 შეკვ. № 782 ტირაჟი 2000